

შპს “ნაპირდაცვა”

ქ.თბილისის, გლდანის მუნიციპალიტეტი, შუშის ქუჩის მიმდებარედ, მდ.
გლდანულას ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტი

განმარტებითი ბარათი

დირექტორი

ი.დგებუაძე

პროექტის შემადგენლობა

განმარტებითი ბარათი

ხარჯთაღრიცხვა

გრაფიკული ნაწილი

სარჩევი

| | |
|---|---|
| შესავალი | 4 |
| თავი I. საკვლევი უბნის ბუნებრივი პირობები | 5 |
| თავი II. საპროექტო დონისძიებები | 9 |

შესავალი

“ქ.თბილისის, გლდანის მუნიციპალიტეტი, შუშის ქუჩის მიმდებარედ, მდ. გლდანულას ნაპირსამაგრი სამუშაოების პროექტი”დამუშავდა საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან დადებული ხელშეკრულების (ე.ტ.#177-19, 13.09.2019 წ.) შესაბამისად. პროექტის საფუძვლო წარმოადგენს შპს “ნაპირდაცვის” მიერ განხორციელებული აზომვითი და საძიებო-კვლევითი სამუშაოები.

ავარიული უბანი მდებარეობს გლდანის მუნიციპალიტეტში, შუშის ქუჩის მიმდებარედ, მდ. გლდანულას ორივე ნაპირზე. მდინარის ეს მონაკვეთი გაედინება ორ ქუჩის შორის. 2012 წელს მომხდარმა ძლიერმა წყალმოვარდნამ დაანგრია ამ ქუჩების დამაკავშირებელი ხიდი და დააზიანა მარცხენა ნაპირზე არსებული ნაპირდამცავი ბეტონის პედელი.

თავი I. საკვლევი უბნის ბუნებრივი პირობები

მდინარე გლდანის (გლდანულა, ლელუბნისხევი) და მტკვრის

მოკლე პიდროგრაფიული დახსიათება

მდინარე გლდანი (გლდანულა, ლელუბნისხევი) სათავეს იღებს საგურამოს ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე 1320 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან 420 მეტრის სიმაღლეზე სოფ. ავჭალასთან. მდინარის სიგრძე 17 კმ, საერთო ვარდნა 900 მეტრი, საშუალო ქანობი 52,9 %, წყალშემკრები აუზის ფართობი 62,5 კმ², აუზის საშუალო სიმაღლე კი 994 მეტრია. მდინარეს ერთვის რამდენიმე მცირე შენაკადი ჯამური სიგრძით 38 კმ. პიდროგრაფიული ქსელის საშუალო სიხშირე 0,63 კმ/კმ²-ია.

მდინარე გლდანის წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით, წვიმებით გამოწვეული შემოდგომის წყალმოვარდნებით და ზაფხულისა და ზამთრის არამდგრადი წყალმცირობით. ცალკეულ მცირე ნალექიან წლებში მდინარე შრება.

მდინარის წყალი გამოიყენება სოფ. გლდანის მოსახლეობის მიერ სარწყავად მცირე, ლოკალური არხებით. მდინარიდან აღებულ წყალს გამოიყენებდა ასევე ინერტული მასალის მომპოვებელი კარიერი, რომელიც ფუნქციონირებდა მდინარის კალაპოტში სოფ. გლდანის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მდინარე გლდანზე მოსაწყობია ნაპირგამაგრების 2 უბანი – ქვედა უბანი მდებარობს შესართავის სიახლოეს, ხოლო მეორე დაახლოებით 2 კმ-ით ზევით, დასახლებულ პუნქტთან. პირველი, ქვედა უბნის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები დადგენილია მდ. მტკვრიდან შეტბორვის გათვალისწინებით, რის გამო მიზანშეწონილად იქნა მიწნეული მდ. მტკვრის მოკლე პიდროგრაფიული დახსიათების განხილვაც.

მდინარე მტკვარი სათავეს იღებს თურქეთში, მთა ყიზილ-გიადიკის ჩრდილოეთ ფერდობზე არსებული წყაროებიდან 2720 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ერთვის კასპიის ზღვას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

მდინარის სიგრძე 1364 კმ-ს, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 188000 კმ²-ს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე მდინარის სიგრძე 350 კმ-ია. ამ

მონაკვეთზე მდინარის პიდროგრაფიული ქსელი შედგება 12211 მდინარისგან, რომელთა ჯამური სიგრძე 35465 კმ-ს შეადგენს

მდინარე მტკვრის აუზი საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს მთავარი კავკასიონის ქედს, სომხეთ-ჯავახეთის მთიანეთს და მთათაშორისო ტექტონიკურ დაბლობს. აუზის ყველაზე დაბალ ნაწილს მთათაშორისი დაბლობი წარმოადგენს, რომელსაც ქართლის დაბლობი ეწოდება.

მდინარე საზრდოობს ყინვარების, თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება სეზონური თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით და ზაფხულისა და ზამთრის შედარებით მდგრადი წყალმცირობით. ყველაზე წყალუხვ პერიოდად ითვლება გაზაფხული, როდესაც ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 47-58%. ზაფხულის ჩამონადენი შეადგენს 22-27%-ს და აჭარბებს როგორც შემოდგომის, ასევე ზამთრის ჩამონადენს. ცალკეულ წლებში, გაზაფხულის წყალდიდობას ემთხვევა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები რაც იწვევს წყლის დონის კატასტროფულ აწევას. აღნიშნულის მაგალითია 1968 წლის 18 აპრილის წყალდიდობა, როდესაც ქ. თბილისში წყლის მაქსიმალურმა დონემ, წყალმცირობის დონესთან შედარებით 7-9 მეტრით აიწია.

წყლის მინიმალური დონეები და ხარჯები ძირითადად ზამთრის თვეებში ფიქსირდება. ამ პერიოდში აღნიშნული ყინოლოგანი მოვლენები არამდგრადია. ყველა ყინულოგანი მოვლენებიან დღეთა საშუალო რიცხვი 63 დღეს არ აღემატება და საშუალოდ 8-14 დღეს შეადგენს.

მდინარე მტკვარი ფართოდ გამოიყენება ირიგაციული, ენერგეტიკული და სამრეწველო წყალმომარაგების მიზნებისთვის.

კლიმატი

საპროექტო ნაპირგამაგრების უბნები მდებარეობს ქ. თბილისის ფარგლებში, სადაც გაბატონებულია ქვემო ქართლის ბარისთვის დამახასიათებელი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი. გაბატონებული კლიმატური პირობების ჩამოყალიბებას განაპირობებს რამოდენიმე ფაქტორი: ტერიტორიის ოროგრაფიული პირობები, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მდ. მტკვრის ხეობით შემოჭრილი ჰაერის მასები და ამიერკავკასიის სამხრეთით

განვითარებული ტალღური აღრევები, რომელთანაც დაკავშირებულია წლის თბილ პერიოდში უხვი ნალექები, ელჭექი და სეტყვა.

აღნიშნული ტერიტორიის კლიმატური დახასიათება შედგენილია თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების საფუძველზე.

აღნიშნული მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემებით, აქ მზის ნათების ხანგრძლივობა მთელი წლის განმავლობაში მაღალია და მისი საშუალო წლიური სიდიდე 2500 საათს აღემატება. ჯამობრივი რადიაციაც, რომლის სიდიდე 120-130 კგალ/სმ²-ს შორის მერყეობს, საკმაოდ მაღალია, ხოლო რადიაციული ბალანსის წლიური მაჩვენებელი 51 კგალ/სმ²-ს შეადგენს.

მზის რადიაციასთან უშუალო კავშირშია კლიმატური პირობების მაფორმირებელი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი – ჰაერის ტემპერატურა, რომლის საშუალო თვიური, წლიური და ექსტრემალური მნიშვნელობები, თბილისის მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №1 ცხრილში.

ჰაერის ტემპერატურის საშუალო თვიური, წლიური და

ექსტრემალური სიდიდეები t⁰C

ცხრილი №1

| მეტსადგური | ტემპერატურა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წელი |
|------------|---------------|-----|-----|-----|------|------|------|------|------|------|------|-----|-----|------|
| თბილისი | საშუალო | 0.9 | 2.6 | 6.7 | 12.1 | 17.4 | 21.2 | 24.4 | 24.2 | 19.6 | 13.8 | 7.7 | 3.0 | 12.8 |
| | აბს.მაქსიმუმი | 20 | 24 | 29 | 32 | 36 | 37 | 41 | 40 | 38 | 32 | 27 | 22 | 41 |
| | აბს.მინიმუმი | -22 | -16 | -16 | -3 | 1 | 7 | 9 | 9 | 1 | -5 | -7 | -19 | -22 |

როგორც წარმოდგენილი №1 ცხრილიდან ჩანს, თბილისში ყველაზე ცხელი თვეებია ივლისი და აგვისტო, ხოლო ყველაზე ცივი – იანვარი და თებერვალი.

აქ წაყინვები, ანუ საშუალო დღე-დღემური დადებითი ტემპერატურების ფონზე ჰაერის გაცივება 0⁰ჩ-ზე ქვემოთ, საშუალოდ იწყება ნოემბერში და მთავრდება მარტის ბოლოს. წაყინვების დაწყებისა და დასრულების თარიღები, ასევე

უყინვო პერიოდის ხანგრძლივობა დღეებში, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №2 ცხრილში.

**წაყინვების დაწყებისა და დასრულების თარიღები და უყინვო პერიოდის
ხანგრძლივობა დღეებში**

ცხრილი №2

| მეტ სადგური | წაყინვების თარიღი | | | | | | უყინვო პერიოდი დღეებში | | |
|----------------|-------------------|--------|---------|-----------|--------|--------|---------------------------|------|-----|
| | დასაწყისი | | | დასასრული | | | საშუალო | უმცი | უდი |
| | საშუალო | ნაადრე | გვიანი | საშუალო | ნაადრე | გვიანი | | | |
| თბილისი | 16.XI. | 20.X. | 11.XII. | 24.III. | 20.II. | 27.IV | 236 | 194 | 284 |

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, მის მექანიკურ შემადგენლობაზე, სინოტივეზე, მის დაცულობაზე მცენარეული საფარით ზაფხულში და თოვლის საფარის სიმაღლეზე ზამთარში, ითვალისწინებს ნიადაგის ზედაპირის რამდენიმე მმ-იანი სისქის ტემპერატურას. მისი მაჩვენებლები მჭიდრო კავშირშია ჰაერის ტემპერატურის სიდიდეებთან. ამასთან, მისი საშუალო წლიური მაჩვენებელი 20-ზე მეტად აღემატება ჰაერის ტემპერატურის საშუალო წლიურ სიდიდეს.

ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, წლიური, საშუალო მაქსიმალური და საშუალო მინიმალური მნიშვნელობები თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №3 ცხრილში.

ნიადაგის ზედაპირის საშუალო თვიური, წლიური, მაქსიმალური და
მინიმალური ტემპერატურის t^0C

ცხრილი №3

| მეტსადგური | ტემპერატურა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წელი |
|------------|---------------|----|----|-----|----|----|----|-----|------|----|----|----|-----|------|
| თბილისი | საშუალო | 0 | 3 | 8 | 15 | 22 | 27 | 31 | 30 | 23 | 15 | 7 | 2 | 15 |
| | საშ.მაქსიმუმი | 9 | 15 | 24 | 34 | 44 | 50 | 55 | 54 | 42 | 30 | 18 | 10 | 32 |
| | საშ.მინიმუმი | -5 | -3 | 0 | 5 | 11 | 15 | 18 | 18 | 14 | 7 | 2 | -3 | 7 |

ნიადაგის ზედაპირის წაყინვების დაწყებისა და დასრულების საშუალო თარიღები, ასევე უყინვო პერიოდის სანგრძლივობა დღეებში, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №4 ცხრილში.

ნიადაგის ზედაპირის წაყინვების დაწყებისა და დასრულების
საშუალო თარიღები და უყინვო პერიოდის სანგრძლივობა
დღეებში

ცხრილი №4

| მეტსადგური | წაყინვის საშუალო თარიღი | | უყინვო პერიოდის სანგრძლივობა დღეებში |
|------------|-------------------------|-----------------------|---|
| | პირველი შემოდგომაზე | საბოლოო გაზაფხულზე | |
| თბილისი | 29.X. | 13.IV | 198 |

ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის ცვალებადობა ვრცელდება ნიადაგის სიღრმეში, ამასთან სიღრმის მატებასთან ერთად მცირდება ტემპერატურის ამპლიტუდა.

ნიადაგის სიღრმის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურები, თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №5 ცხრილში.

ნიადაგის სიღრმის საშუალო თვიური და წლიური

ტემპერატურა $t^{\circ}\text{C}$

ცხრილი №5

| მეტსადგური | სიღრმე მ-მი | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წელი |
|------------|----------------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|------|
| თბილისი | 0.2 | 2.3 | 3.7 | 6.8 | 12.4 | 18.0 | 22.0 | 25.5 | 26.2 | 22.2 | 15.7 | 9.5 | 4.3 | 14.0 |
| | 0.4 | 3.3 | 4.0 | 6.9 | 11.9 | 17.0 | 21.0 | 24.6 | 25.6 | 22.3 | 16.7 | 10.9 | 5.7 | 14.2 |
| | 0.8 | 5.5 | 5.6 | 7.4 | 10.8 | 14.9 | 18.6 | 22.1 | 23.5 | 21.9 | 17.6 | 13.1 | 8.6 | 14.1 |
| | 1.6 | 8.5 | 8.7 | 9.1 | 10.7 | 12.8 | 15.3 | 18.0 | 19.7 | 20.0 | 19.3 | 16.0 | 12.9 | 14.2 |
| | 3.2 | 11.9 | 11.9 | 11.6 | 11.7 | 11.8 | 12.4 | 13.8 | 15.0 | 16.2 | 17.6 | 16.3 | 15.3 | 13.8 |

ატმოსფერული ნალექები, რომლებიც წარმოადგენენ რაიონის კლიმატური და ჰიდროლოგიური რეჟიმის მაფორმირებელ ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, საკვლევ ტერიტორიაზე არც თუ დიდი რაოდენობით მოდის. თბილისის ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი მერყეობს 540 მმ-ს არ აღემატება. ამასთან, ნალექების წლიური მსვლელობა ხასიათდება კონტინენტური ტიპით, ერთი მაქსიმუმით მაის-ივნისში და მეორადი, უმნიშვნელო მაქსიმუმით სექტემბერ-ოქტომბერში.

ატმოსფერული ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა და წლიური ჯამი, მოცემულია №6 ცხრილში.

ნალექების საშუალო თვიური რაოდენობა და წლიური ჯამი მმ-ზი

ცხრილი №6

| გეტსადგური | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წელი |
|------------|----|----|-----|----|----|----|-----|------|----|----|----|-----|------|
| თბილისი | 18 | 23 | 33 | 55 | 90 | 78 | 50 | 40 | 46 | 45 | 38 | 24 | 540 |

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, აქ ნალექების დღე-დამური მაქსიმალური რაოდენობა შედარებით მაღალია. ნალექების დღე-დამური მაქსიმალური რაოდენობა, დაფიქსირებული იმავე მეტსადგურზე 1955 წლის 16 აგვისტოს, 147 მმ-ს შეადგენს.

სხვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-დამური მაქსიმალური რაოდენობა, დადგენილი მეტსადგურ თბილისის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების საფუძველზე, მოცემულია №7 ცხრილში.

სხვადასხვა უზრუნველყოფის ნალექების დღე-დამური

გაქნილურები მმ-ზი (წლიური)

ცხრილი №7

| გეტსადგური | საშუალო მაქსიმუმი | უზრუნველყოფა % | | | | | | დაკვირვებული მაქსიმუმი | |
|------------|----------------------|----------------|----|----|----|-----|-----|---------------------------|--------------|
| | | 63 | 20 | 10 | 5 | 2 | 1 | მმ | თარიღი |
| თბილისი | 45 | 36 | 56 | 70 | 91 | 122 | 146 | 147 | 16.VIII.1955 |

ქალაქ თბილისში პაერის სინოტივის მაჩვენებლები არც ისე მაღალია. აღსანიშნავია, რომ პაერის წყლის ორთქლით გაჯერებისა (აბსოლუტური სინოტივის) და მისი დეფიციტის მაჩვენებელის წლიური მსვლელობა პრაქტიკულად ემთხვევა პაერის ტემპერატურის წლიურ მსვლელობას.

პაერის სინოტივის მაჩვენებლების საშუალო თვიური და წლიური სიდიდეები თბილისის მეტსდგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №8 ცხრილში.

პაერის სინოტივის საშუალო თვიური და წლიური სიდიდეები

ცხრილი №8

| მეტსადგური | ტენიანობა | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წლი |
|------------|---------------------|-----|-----|-----|-----|------|------|------|------|------|------|-----|-----|------|
| თბილისი | აბსოლუტური მბ-ში | 5.2 | 5.4 | 6.1 | 8.6 | 12.4 | 14.8 | 17.2 | 16.7 | 14.2 | 11.0 | 8.2 | 5.9 | 10.5 |
| | შეფარდებითი %-ში | 73 | 69 | 66 | 62 | 64 | 60 | 56 | 57 | 64 | 73 | 77 | 76 | 66 |
| | დეფიციტი მბ-ში | 2.2 | 2.7 | 3.9 | 6.3 | 8.6 | 11.9 | 15.0 | 14.7 | 9.6 | 5.1 | 3.0 | 2.2 | 7.1 |

იმავი მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, თოვლის საფარი საშუალოდ ყველაზე ადრე ჩნდება 28.X-ს და ყველაზე გვიან ქრება 19.IV-ს. ამასთან, თოვლის მოსვლის ხანგრძლივობა იანვარ-თებერვალში მერყეობს 50-დან 60 საათამდე, მაგრამ ცალკეულ წლებში, მაგალითად 1988 წლის 2-3 თებერვალს, ქ. თბილისში თოვლი შეუჩერებლად მოდიოდა 39 საათისა და 55 წუთის განმავლობაში. მიუხედავად ამისა, თოვლის მდგრადი საფარის არსებობის ხანგრძლივობა დიდი არ არის.

თოვლის საფარის გაჩენისა და გაქრობის თარიღები, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №9 ცხრილში.

თოვლის საფარის გაჩენისა და გაქრობის თარიღები

ცხრილი №9

| მეტსადგური | თოვლიან დღეთა რიცხვი | თოვლის საფარის გაჩენის თარიღი | | | თოვლის საფარის გაქრობის თარიღი | | |
|------------|----------------------------|----------------------------------|---------|---------|-----------------------------------|---------|--------|
| | | საშუალო | ნადრევი | გვიანი | საშუალო | ნადრევი | გვიანი |
| თბილისი | 15 | 30.XII. | 28.X. | 10.III. | 28.II. | 9.XII. | 19.IV. |

თბილისში ქრის ყველა მიმართულების ქარი, მაგრამ გაბატონებულ წრდილოდასავლეთის მიმართულების ქარებს, განაპირობებს მდინარე მტკვრის ხეობის მიმართულება.

ქარების მიმართულებები და შტილების რაოდენობა იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №10 ცხრილში.

ქარების მიმართულება და შტილების რაოდენობა

%-ში წლიურიდან

ცხრილი №10

| მეტსადგური | წ | წა | ა | სა | ს | სდ | დ | წდ | შტილი |
|------------|----|----|---|----|---|----|---|----|-------|
| თბილისი | 26 | 3 | 4 | 25 | 8 | 2 | 4 | 28 | 33 |

ქარის საშუალო წლიური სიჩქარე თბილისში 2,4 მ/წმ-ს არ აღემატება, ხოლო ქარის საშუალო თვიური მაქსიმალური სიჩქარე, დაფიქსირებული მარტში და აპრილში, 2,8 მ/წმ-ს შეადგენს.

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარეები, იმავე მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №11 ცხრილში.

ქარის საშუალო თვიური და წლიური სიჩქარე გ/წ-ში

ცხრილი №11

| მეტსადგური | ფლიუგერის სიმაღლე | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | წელი |
|------------|----------------------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|------|-----|-----|-----|-----|------|
| თბილისი | 16 მ. | 2.2 | 2.7 | 2.8 | 2.8 | 2.5 | 2.5 | 2.8 | 2.3 | 2.1 | 2.0 | 1.7 | 1.8 | 2.4 |

ქარის სხვადასხვა განმეორებადობის მაქსიმალური სიჩქარეები, თბილისის მეტსადგურის მრავალწლიური დაკვირვების მონაცემების მიხედვით, მოცემულია №12 ცხრილში.

ქარის მაქსიმალური სიჩქარეები გ/წ-ში

ცხრილი №12

| მეტსადგური | ქარის მაქსიმალური სიჩქარე (გ/წ) შესაძლებელი ერთჯერ | | | | |
|------------|--|---------|----------|----------|----------|
| | 1 წელში | 5 წელში | 10 წელში | 15 წელში | 20 წელში |
| თბილისი | 22 | 27 | 29 | 30 | 32 |

საკვლევ ტერიტორიაზე ღრუბლიანობა ზომიერია განსაკუთრებით წლის ცივ პერიოდში. საშუალოდ, წლის განმავლობაში, ცის თაღის 60% დაფარულია ღრუბლებით. აქ მაღალია საერთო ღრუბლიანობა, რაც შეეხება ქვედა იარუსის ღრუბლებს – დიდი არ არის. ასეთი ღრუბლებით წლის განმავლობაში ცის თაღის მხოლოდ 40-45% არის დაფარული. საერთო ღრუბლიანობის მიხედვით მოღრუბლული დღეები 100-130-ს, ხოლო მინიმალური კი 50-60 შორის იცვლება.

ელჭექი საკმაოდ ხშირი მოვლენაა – 35-50 დღე წელიწადში. ცალკეულ წლებში უფრო მეტია და 70-ს უახლოვდება. ელჭექი აქ უმთავრესად წლის თბილ პერიოდში იცის (თვეში 5-12 დღე). იშვიათად ელჭექი ზამთარშიც აღინიშნება.

ელჭექისაგან განსხვავებით სეტყვა მხოლოდ წლის თბილ პერიოდში იცის, ყველაზე ხშირია მაის-ივნისში. სეტყვიან დღეთა რიცხვი 1-2 დღეს არ აღემატება. ცალკეულ წლებში სეტყვა 6-7-ჯერ დაფიქსირდა.

აქ ნისლი იშვიათად იცის. წელიწადში საშუალოდ მხოლოდ 10-30 დღეა ნისლიანი. ნისლი ძირითადად წლის ციკ პერიოდში ჩნდება, აღმოსავლეთიდან ჰაერის მასების შემოჭრის დროს.

წყლის მაქსიმალური ხარჯები

მდინარე გლდანულას ჩამონადენი შეისწავლებოდა შესართავის სიახლოეს სოფ. ავჭალაში (რკინიგზის ხიდთან) 1912 წლის 24 მაისიდან 1913 წლის 29 დეკემბრამდე. დაკვირვების მონაცემები გამოქვეყნებული არ არის. ამიტომ, მისი წყლის მაქსიმალური ხარჯები ნაპიგამაგრების უბნებზე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „პაგასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში”.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხევებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ აღემატება $400 \text{ } \text{dm}^2$ -ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$Q = R \cdot \left[\frac{F^{2/3} \cdot K^{1.35} \cdot \tau^{0.38} \cdot i^{-0.125}}{(L + 10)^{0.44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta \quad \text{dm}^3/\text{წ}$$

სადაც R – რაიონული პარამეტრია. მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მიღებულია 1,15-ის ტოლი;

F – წყალშემკრები აუზის ფართობია საანგარიშო კვეთში dm^2 -ში;

K – რაიონის კლიმატური კოეფიციენტია, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 6,0-ის;

τ – განმეორებადობაა წლებში;

i – მდინარის ნაკადის ან ხევის გაწონასწორებული ქანობია ერთეულებში სათავიდან საანგარიშო კვეთამდე;

L – მდინარის სიგრძეა სათავიდან საანგარიშო კვეთამდე dm -ში;

Π – მდინარის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტია. მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში მიღებულია 1-ის ტოლი;

λ – აუზის ტენიანობის კოეფიციენტია, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$\lambda = \frac{1}{1 + 0,2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ F_t – აუზის ტენით დაფრული ფართობია %-ში, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 70%-ის. აქედან $\lambda = 0,88$ -ს;

δ – აუზის ფორმის კოეფიციენტია. მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$\delta = 0,25 \cdot \frac{B_{\max}}{B_{sas}} + 0,75$$

სადაც B_{\max} – აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 5,2 კმ-ის ;

B_{sas} – აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება დამოკიდებულებით $B_{sas} = \frac{F}{L}$;

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეყვანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში, მიიღება მდ. გლდანულას წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო უბნებზე. მიღებული შედეგები მოცემულია ქვემოთ, №13 ცხრილში.

მდინარე გლდანულას წყლის მაქსიმალური ხარჯები $\text{მ}^3/\text{წ-ში}$

საპროექტო უბანზე

ცხრილი №13

| უბანი | F | L | i | K | Π | λ | δ | მაქსიმალური ხარჯები | | | |
|----------------|------|------|--------|------|-------|-----------|----------|---------------------|-------------|-------------|-------------|
| | | | | | | | | $\tau = 100$ | $\tau = 50$ | $\tau = 20$ | $\tau = 10$ |
| ქვედა უბანი | 62.5 | 17.0 | 0.0529 | 6.00 | 1.00 | 0.88 | 1.10 | 180 | 138 | 97.5 | 75.0 |

მდინარე მტკვრის მაქსიმალური ხარჯები მდ. გლდანულას შესართავთან დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად აღებულია მდ. მტკვარი – პ/ს თბილისის მონაცემები, რომელიც პიდროლოგიურ დაკვირვებათა 66 წლიან პერიოდს (1925-1990 წ.წ.) მოიცავს. აღნიშნულ პერიოდში მდ. მტკვრის წლიური მაქსიმალური ხარჯები პ/ს თბილისის კვეთში მერყეობდნენ 448 მ³/წმ-დან (1947 წ.) 2450 მ³/წმ-დან (1968 წ.).

პიდროლოგიურ საგუშაგო თბილისის კვეთში მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯების 66 წლიანი გარიაციული რიგი სტატისტიკურად დამუშავებულია საქართველოშიმოქმედი ნორმატივების შესაბამისად მომენტების მეთოდით. დამუშავების შედეგად მიღებულია განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

–მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე $Q_0=1162 \text{ მ}^3/\text{წმ};$

–გარიაციის კოეფიციენტი $Cv=0,31;$

–ასიმეტრიის კოეფიციენტის სიდიდე $Cs=4Cv-1$, მიღებულია ალბათობის უჯრე-დულაზე ემპირიული და თეორიული წერტილების უახლოესი თანხვედრით.

დადგენილია გარიაციული რიგის რეპრეზენტატიულობის შესაფასებელი პარამეტრები – მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდისა და გარიაციის კოეფიციენტის შეფარდებითი საშუალო კვადრატული ცდომილება, რაც დამაკმაყოფილებელია, რადგან სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების შესაბამისად $\varepsilon_{\varrho_0} = 3,82 \% \leq 5 \% -\text{ზე}$ და $\varepsilon_{c_v} = 9,11 \% \leq 10 \% -\text{ზე}.$

დადგენილია ასევე საშუალო კვადრატული გადახრა, რაც ტოლია $\delta=360$.

მიღებული პარამეტრებისა და სამპარამეტრიანი გამა-განაწილების ნორმირებული ორდინატების მეშვეობით ნაანგარიშებია მდ. მტკვრის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები პ/ს თბილისის კვეთში.

სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები იმავე კვეთში დადგენილია ასევე გუმბელის განაწილებით, რომლის მიხედვით სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯები იანგარიშება გამოსახულებით

$$Q_\tau = Q_0 + K \cdot \delta \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც Q_τ – საანგარიშო განმეორებადობის მაქსიმალური ხარჯია მ³/წმ-ში;

ϱ_0 – წყლის მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდეა, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 1162 $\text{m}^3/\text{წ}$ -ის;

K – ექსტრემალური მნიშვნელობებისთვის გამოყვანილი კოეფიციენტია, რომლის სიდიდე ყოველი განმეორებადობისთვის აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან;

δ – საშუალო კვადრატული გადახრაა, რაც ტოლია 360-ის.

მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯები \dot{V} . თბილისში აღებულია ასევე საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ცალკეული კატასტროფიული მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშების საფუძველზე მიღებული შედეგებიდან. აღნიშნული გაანგარიშებების მიხედვით, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტმა მიიღო განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

–მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე $Q_0=1148 \text{ m}^3/\text{წ}$;

–ვარიაციის კოეფიციენტი $Cv=0,56$;

–ასიმეტრიის კოეფიციენტის სიდიდე $Cs=2Cv=1,12$.

მიღებული პარამეტრებისა და ბინომიალური მრუდის განაწილების ორდინატების მეშვეობით დადგენილია მდ. მტკვრის სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები.

გადასვლა ანალოგიდან, ანუ \dot{V}/\dot{F} თბილისის კვეთიდან მდ. გლდანულას შესართავის კვეთში, განხორციელებულია გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$K = \frac{Fs_{apr}}{Fan}.$$

სადაც F_{apr} – მდ. მტკვრის წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო, ანუ მდ. გლდანულას შესართავის კვეთში, სადაც $F_{apr} = 20800 \text{ კმ}^2$;

F_{an} – მდ. მტკვრის წყალშემკრები აუზის ფართობია \dot{V}/\dot{F} თბილისის კვეთში, სადაც $F_{an} = 21100 \text{ კმ}^2$;

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეფანით ზემოთ მოყვანილ გამოსახულებაში, მიიღება ანალოგიდან, ანუ \dot{V}/\dot{F} თბილისის კვეთიდან

საპროექტო კვეთში გადამყვანი კოეფიციენტის სიდიდე 0,986-ის ტოლი. პ/ს თბილისის კვეთში დადგენილი მაქსიმალური ხარჯების გადამრავლებით გადამყვან კოეფიციენტზე, მიიღება მაქსიმალური ხარჯები საპროექტო კვეთში.

მდინარე მტკვრის მაქსიმალური ხარჯების სხვადასხვა უზრუნველყოფის სიდიდეები ანალოგის (პ/ს თბილისი) და საპროექტო (მდ. გლდანულას შესართავის) კვეთებში, დადგენილი სამპარამეტრიანი გამა-განაწილების, გუმბელის განაწილებისა და პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მიერ, მოცემულია №14 ცხრილში.

მდინარე მტკვრის მაქსიმალური ხარჯებიმ³/წ-ში

СИП ცხრილი №14

| კვეთი | F β^2 | მეთოდი | Q_0 $\beta^3/\gamma\theta$ | Cv | Cs | δ | უზრუნველყოფა P% | | | |
|----------------------------|----------------|---------------|---------------------------------|------|------|----------|-----------------|------|------|------|
| | | | | | | | 1 | 2 | 5 | 10 |
| ანალოგი- პ/ს თბილისი | 21100 | გამა-განაწ. | 1162 | 0.31 | 1.24 | 360 | 2300 | 2140 | 1835 | 1630 |
| | | გუმბელის | 1162 | 0.31 | 1.24 | 360 | 2395 | 2185 | 1900 | 1680 |
| | | პ/ზ ინსტიტუტი | 1148 | 0.56 | 1.12 | 643 | 2910 | 2765 | 2475 | 2270 |
| $K = 0,986$ | 20800 | გამა-განაწ. | 1146 | — | — | — | 2268 | 2110 | 1809 | 1607 |
| | | გუმბელის | 1146 | — | — | — | 2360 | 2155 | 1875 | 1655 |
| | | პ/ზ ინსტიტუტი | 1132 | — | — | — | 2869 | 2726 | 2440 | 2238 |

მდინარე გლდანულას შესართავის კვეთში, მდ. მტკვრის მაქსიმალური ხარჯები დადგენილი გუმბელის განაწილებით, მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად.

წყლის მაქსიმალური დონეები

საპროექტო ნაპირგამაგრების ქვედა უბანზე მდ. გლდანულას მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები, დადგენილია მდ. მტკვრიდან შეტბორვის გათვალისწინებით. ამ მიზნით გადაღებული იქნა მდ. მტკვრისა და მდ. გლდანულას კალაპოტის განივი კვეთები. აღნიშნული განივი კვეთების საფუძველზე დადგენილი იქნა მდინარეთა ჰიდრავლიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრავლიკური ელემენტების მიხედვით განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $\varphi = f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია ორ საანგარიშო კვეთს შორის ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობის შერჩევის გზით. მდინარე მტკვრის ჰიდრავლიკური ელემენტები დადგენილია მდგრადი კალაპოტის პირობებში.

კვეთში ნაკადის საშუალო სიჩქარე დადგენილია შეზი-მანინგის ცნობილი ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

სადაც h – ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ში;

i – ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია ორ საანგარიშო კვეთს შორის;

n – კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია, რომლის სიდიდე დადგენილი სპეციალური გათვალისწინების საფუძველზე მდ. მტკვრისთვის მიღებულია 0,040-ის, მდ. გლდანულასთვის კი 0,060-ის ტოლი.

მდინარე მტკვრის სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები საპროექტო პირობებში მოცემულია №15, მდ. გლდანულასი კი №16 ცხრილში.

მდინარე მტკვრის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები

საპროექტო პირობებში

ცხრილი №15

| № | განივის განივებს შორის მ-ში | მანძილი ნაპირის ნიშნული მ.აბს. | წყლის ნაპირის ნიშნული მ.აბს. | ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.აბს. | წ. გ. დ. | | | |
|---|--------------------------------------|---|---------------------------------------|--|--|---|---|--|
| | | | | | $\tau = 100$ წელს, Q=2360 $\partial^3/\nabla\partial$ | $\tau = 50$ წელს, Q=2155 $\partial^3/\nabla\partial$ | $\tau = 25$ წელს, Q=1875 $\partial^3/\nabla\partial$ | $\tau = 10$ წელს Q=1655 $\partial^3/\nabla\partial$ |
| 2 | 175 | 414.00 | 412.55 | 418.70 | 418.50 | 418.30 | 418.00 | |
| 3 | | | 413.50 | 412.52 | 418.20 | 418.00 | 417.70 | 417.40 |
| 4 | | | 412.90 | 411.55 | 417.60 | 417.40 | 417.10 | 416.90 |

მდინარე გლდანულას წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები

საპროექტო პირობებში

ცხრილი №16

| № | განივის განივებს შორის მ-ში | მანძილი ნაპირის ნიშნული მ.აბს. | წყლის ნაპირის ნიშნული მ.აბს. | ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.აბს. | წ. გ. დ. | | | |
|----|--------------------------------------|---|---------------------------------------|--|---|--|---|--|
| | | | | | $\tau = 100$ წელს, Q=180 $\partial^3/\nabla\partial$ | $\tau = 50$ წელს, Q=138 $\partial^3/\nabla\partial$ | $\tau = 25$ წელს, Q=97,5 $\partial^3/\nabla\partial$ | $\tau = 10$ წელს Q=75,0 $\partial^3/\nabla\partial$ |
| 10 | 5 | 418.60 | 418.50 | 421.90 | 421.60 | 421.20 | 421.00 | |
| 11 | | | 418.40 | 418.25 | 421.80 | 421.50 | 421.10 | 420.90 |
| 12 | | | 418.26 | 418.01 | 421.70 | 421.40 | 421.00 | 420.80 |

ნახაზებზე, მდ. გლდანულას კალაპოტის განივ კვეთებზე, დატანილია 100 წლიანი და 10 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები.

მდინარე მტკვრისა და მდ. გლდანულას ქვედა უბნის ჰიდრავლიკური ელემენტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $\varrho = f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება, მოცემულია №17 და №18 ცხრილებში.

მდინარე მტკვრის ჰიდრავლიკური ელემენტები

ცხრილი №17

| ნიშნულები მ.აბს. | კვეთის ელემენტები | კვეთის ფართობი $\omega \text{ მ}^2$ | ნაკადის სიგანე $B \text{ მ}$ | საშუალო სიღრმე $h \text{ მ}$ | ნაკადის ქანობი i | საშუალო სიჩქარე $v \text{ მ/წ}$ | წყლის ხარჯი $Q \text{ მ}^3/\text{წ}$ |
|---------------------|----------------------|---|------------------------------------|------------------------------------|--------------------------|---------------------------------------|--|
| განივი №4 | | | | | | | |

| | | | | | | | |
|--------|----------|------|------|------|--------|------|------|
| 412.90 | კალაპოტი | 47.9 | 53.0 | 0.90 | 0.0038 | 1.44 | 69.0 |
| 414.00 | კალაპოტი | 119 | 77.0 | 1.54 | 0.0038 | 2.06 | 245 |
| 415.00 | კალაპოტი | 220 | 124 | 1.77 | 0.0038 | 2.26 | 497 |
| 416.00 | კალაპოტი | 364 | 165 | 2.21 | 0.0038 | 2.62 | 954 |
| 417.00 | კალაპოტი | 529 | 165 | 3.21 | 0.0038 | 3.37 | 1783 |
| 418.00 | კალაპოტი | 694 | 165 | 4.21 | 0.0038 | 4.04 | 2804 |

განივი №3 $L=110 \text{ მ}$ (მდ. გლდანულას შესართავი)

| | | | | | | | |
|--------|----------|------|------|------|--------|------|------|
| 413.50 | კალაპოტი | 49.9 | 76.0 | 0.66 | 0.0054 | 1.39 | 69.4 |
| 415.00 | კალაპოტი | 176 | 92.0 | 1.91 | 0.0032 | 2.18 | 384 |
| 416.00 | კალაპოტი | 277 | 110 | 2.52 | 0.0033 | 2.67 | 740 |
| 417.00 | კალაპოტი | 404 | 143 | 2.82 | 0.0045 | 3.36 | 1357 |

| | | | | | | | |
|-------------------------------|----------|------|------|------|--------|------|------|
| 418.50 | კალაპოტი | 635 | 165 | 3.85 | 0.0049 | 4.32 | 2743 |
| განივი №2 $L = 175 \text{ მ}$ | | | | | | | |
| 414.00 | კალაპოტი | 51.5 | 53.0 | 0.97 | 0.0028 | 1.30 | 67.0 |
| 415.50 | კალაპოტი | 168 | 102 | 1.65 | 0.0035 | 2.07 | 348 |
| 416.50 | კალაპოტი | 294 | 150 | 1.96 | 0.0036 | 2.35 | 691 |
| 417.50 | კალაპოტი | 452 | 165 | 2.74 | 0.0034 | 2.86 | 1293 |
| 418.50 | კალაპოტი | 617 | 165 | 3.74 | 0.0032 | 3.42 | 2110 |

მდინარე გლდანულას პიდრავლიკური ელემენტები

ცხრილი №17

| ნომენკლატურა | კვეთის ელემენტები | კვეთის ფართობი | ნაკადის სიგანე | საშუალო სიღრმე | ნაკადის ქანობი | საშუალო | წყლის ხარჯი |
|--------------|----------------------|-------------------|-------------------|-------------------|-------------------|---------|----------------|
| მ.აბს. | ელემენტები | ფართობი | სიგანე | სიღრმე | ქანობი | სიჩქარე | ხარჯი |

განივი №12 $L = 380 \text{ მ}$ მდ. მტკვრიდან

| | | | | | | | |
|--------|----------|------|------|------|---------|------|------|
| 418.26 | კალაპოტი | 0.57 | 3.40 | 0.17 | 0.00016 | 0.06 | 0.03 |
| 420.50 | კალაპოტი | 35.1 | 27.4 | 1.28 | 0.00605 | 1.53 | 53.7 |
| 421.50 | კალაპოტი | 63.9 | 30.2 | 2.12 | 0.00868 | 2.57 | 164 |
| 422.00 | კალაპოტი | 78.4 | 32.0 | 2.48 | 0.01000 | 3.06 | 243 |

განივი №10 $L = 15 \text{ მ}$

| | | | | | | | |
|--------|----------|------|------|------|--------|------|------|
| 418.60 | კალაპოტი | 0.25 | 3.80 | 0.06 | 0.0227 | 0.38 | 0.10 |
| 420.00 | კალაპოტი | 15.2 | 17.6 | 0.86 | 0.0149 | 1.84 | 28.0 |
| 421.00 | კალაპოტი | 34.4 | 20.8 | 1.65 | 0.0095 | 2.27 | 78.1 |

| | | | | | | | |
|--------|----------|------|------|------|--------|------|-----|
| 422.00 | კალაპოტი | 58.2 | 26.7 | 2.18 | 0.0145 | 3.38 | 197 |
|--------|----------|------|------|------|--------|------|-----|

კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის სიღრმე

მდინარე გლდანულა შეუსწავლელია პიდროლოგიური თვალსაზრისით. შეუსწავლელია მისი კალაპოტური პროცესებიც, ამიტომ, მისი კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე საპროექტო უბანზე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია ვ. ლაპშენკოვის მონოგრაფიაში „პიდროკვანძების ბიეფებში მდინარეთა კალაპოტების დეფორმაციების პროგნოზირება“ (ლენინგრადი, 1979 წ).

აღნიშნული მეთოდის თანახმად, თავდაპირველად განისაზღვრება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიღრმე შემდეგი ფორმულით

$$H_{sash} = \left[\frac{Q_{p\%} \cdot n^{2/3}}{B} \cdot \left(\frac{10}{d_{sash}} \right) \right]^{\frac{1}{1+2/3 \cdot y}} \partial$$

სადაც $Q_{p\%}$ – წყლის 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯია ;

n – კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია ;

B – მდგრადი კალაპოტის სიგანეა, რომლის სიდიდე დადგენილია ფორმულით

$$B = A \cdot \frac{Q_{p\%}^{0.5}}{i^{0.2}}$$

სადაც A – განზომილებითი კოეფიციენტია, რომლის სიდიდე მერყეობს 0,9-დან 1,1-მდე. ჩვენ შემთხვევაში მისი სიდიდე აღებულია 0,9-ის ტოლი;

$Q_{p\%}$ – აქაც 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია;

i – ნაკადის პიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე, რაც ტოლია 0,0125-ის;

მოცემული რიცხვითი მნიშვნელობების შეყვანით ზემოთ წარმოდგენილ ფორმულაში, მიიღება მდ. გლდანულას მდგრადი კალაპოტის სიგანე 100 წლიანი განმეორებადობის (1%-იანი უზრუნველყოფის) წყლის მაქსიმალური ხარჯის გავლის პირობებში 25,7≈26,0 მეტრის ტოლი.

d_{sash} – კალაპოტის ამგები მყარი მასალის საშუალო დიამეტრია მ-ში. მისი სიდიდე განისაზღვრება გამოსახულებით

$$d_{sash} = 4,5 \cdot i^{0,9} \quad \theta$$

აქ i – აქაც ნაკადის ჰიდრავლიკური ქანობია საპროექტო უბანზე; აქედან კალაპოტის ამგები მყარი მასალის საშუალო დიამეტრი მიიღება 0,09 მ-ის ტოლი.

y – 6. პავლოვსკის ფორმულაში შეზის კოეფიციენტის განმსაზღვრელი ხარისხის მაჩვენებელია. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$y = 2,5 \cdot \sqrt{n} - 0,13 - 0,75 \cdot \sqrt{R} \cdot (\sqrt{n} - 0,1)$$

სადაც R -ჰიდრავლიკური რაც მდინარეებისთვის საშუალო სიდრმის ტოლია, ე.ი. $R = h$ მ. ჩვენ შემთხვევაში მდინარის საშუალო სიდრმე, დადგენილი ჰიდრავლიკური ელემენტების ცხრილის მიხედვით, შეადგენს 2,00 მეტრს.

n – აქაც კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტია. აქედან $y = 0,328$ -ს.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეფანით ზემოთ მოყვანილ ფორმულაში მიიღება კალაპოტის ზოგადი გარეცხვის საშუალო სიდრმე 3,73 მეტრის ტოლი.

კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიდრმე მდინარის სწორხაზოვან უბანზე მიიღება დამოკიდებულებით

$$H_{\max} = 1,6 \cdot H_s \quad \text{მეტრს}$$

აქედან, მდ. გლდანულას კალაპოტის მოსალოდნელი ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიდრმე საპროექტო უბანზე მიიღება 5,96≈5,95 მეტრის ტოლი.

კალაპოტის მიღებული მაქსიმალური გარეცხვის სიდრმე უნდა გადაიზომოს მდ. გლდანულას 100 წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯის შესაბამისი დონიდან ქვემოთ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი მეთოდით კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიდრმე იანგარიშება მხოლოდ ალუვიურ კალაპოტებში წყლის მაქსიმალური ხარჯების გავლისას. მეთოდი არ ითვალისწინებს მდინარეების სიდრმული ეროზიის პარამეტრების დადგენას ძირითად, კლდოვან ქანებში,

სადაც სიღრმული ეროზიის განვითარება საქმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ამრიგად, თუ ნაგებობის კვეთში დაფიქსირდება ძირითადი ქანები გარეცხვის სიღრმეზე მაღლა, ნაგებობა უნდა დაეფუძნოს ძირითად ქანებს.

საკვლევი უბნის საინჟინრო გეოლოგია

გეომორფოლოგია

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი მდ გლდანულას ხეობაში მდინარეზე მშენებარე სარკინიგზო ხიდის ზემოთ.

რელიეფის თანამედროვე მორფოსტრუქტული ფორმების იერსახე შექმნილია აკუმულიაცური და დენუდაციური პროცესების ზემოქმედებით.

მორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდ. გლდანულას მარცხენა ჭალის მაღალ ტერასას. ტერასას აქვს დინების მიმართულებით სუსტად დახრილი მოსწორებული ზედაპირი.

მდ. გლდანულა ღვარცოფულია საკვლევი უბნის ფარგლებში გამომუშავებული აქვს ორმხრივი ჭალის და ჭალისზედა ტერასები. ჭალისზედა ტერასები კალაპოტიდან მაღლდებიან 3-4 მეტრით. ჭალა – კალაპოტის სიგანე 80 – 100 მეტრის ფარგლებშია. მდინარის მარცხენა მხარე, სადაც მიმდინარეობს ფუჭი ქანის განთავსება გამაგრებულია ბეტონის კედლით, რომელიც ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს და საჭიროებს დაგრძელებას. კედელი ამავდროულად დაიცავს ჭალისზედა ტერასაზე განლაგებული მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებს, საცხოვრებელ სახლებს და იქ არსებულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს.

2. გეოლოგიური პირობები

2.1, გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით (ე. გამყრელიძე 2000 წ) საკვლევი უბანი მდებარეობს აჭარა - თრიალეთის ნაოჭა სისტემის, აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ქვეზონაში. ტეიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ოლიგოცენური და ქვედა მოიცენური ($P_3+N_1^1$) ასაკის ნალექები წარმოდგენილი მსხვილმარცვლიანი კვარც-არკოზული ქვიშაქვებით, კარბონაული თიხები და კონგლომირატებით, რომლებიც ჭალა – კალაპოტში და ტერასულ საფეხურებზე გადაფარულია ალუვიური კენჭნარით ქვიშნაროვანი შემავსებელით. კენჭნაროვანი მასალა კარგადაა დამუშავებული და დახარისხებული.

2.2 ჰიდროგეოლოგიური პირობები

ობიექტის ფარგლებში და მიმდებარედ გრუნტის წყლების ზედაპირული გამოსავლები არ დაფიქსირებულა. ჭალაში ისინი განლაგებულია 0,5 მეტრის სიღრმეზე.

3. სამშენებლო მოედნის საინჟინრო- გეოლოგიური პირობები

საპროექტო უბნის ფარგლებში ტერიტორია წარმოადგენს მდინარის დინების მიმართულებით სუსტად დახრილ მოსწორებულ აკუმულიაცურ ზედაპირს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობები განპირობებულია ამგები გრუნტების შემადგენლობით, რელეიფის თავისებურებებით, მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმით და აქ მიმდენარე გეოლოგიური პროცესების ერთობლიობით.

საპროექტო უბნის ტერიტორიაზე და მიმდებარედ ჩატარებული სარეკოგნოსცირო მარშრუტული გამოკვლევების და არსებული ფნდური მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი იქნა გრუნტების 2 სახესხვაობა (სგე); სგე-1 კენჭნარი ქვიშნაროვანი შემავსებლით და სგე-2 ტექნოგენური გრუნტი - ფერდობზე გადმოყრილი ფუჭი ქანი.

სგე-1 კრნჭნარი საშუალო და წვრილმარცვლოვანი 5% - მდე კაჭარის ჩანართებით, ქვიშნარის შემავსებლით. კენჭნაროვანი მასალა კარგადაა დამუშავებული და დახარისხებული. აღნიშნული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: სიმკვრივე $P=1.90$ გრ/სმ³, ფორიანობის კოეფიციენტი $e=0.45$, ფილტრაციის კოეფიციენტი $K_f = 50$ მ/დღე - ღამეში, შიგა ხახუნის კუთხე $\phi = 35^\circ$, შეჭიდულობა $C = 0.07$ კგ/სმ², დეფორმაციის მოდული $E = 480$ კგ/სმ², პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_o = 6$ კგ/სმ².

დამუშევების სიმნელის მიხედვით მიეკუთვნება 6 ვ რიგის, ერთციცხვიანი ექსკავატორით ბულდოზერით და ხელით დამუშავების III კატეგორია.

სდ-2 ტექნოგენური გრუნტი - ფერდობზე გადმოყრილი ფუჭი ქანი, თიხნარი ფხვიერი არა შეცემენტებული. გრუნტების გასაშუალებული ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: სიმკვრივე $P = 1.80$ გრ/სმ³, ფორიანობის კოეფიციენტი $e=0.80$, შიგა ხახუნის კუთხე $\phi = 18^\circ$, შეჭიდულობა $C = 0.1$ კგ/სმ², დეფორმაციის მოდული $E = 50$ კგ/სმ², პირობითი საანგარიშო წინაღობა $R_o = 0.5$ კგ/სმ².

დამუშავების სიმნელის მიხედვით მიეკუთვნება 24 ა რიგს, ერთციცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით დამუშავების II კატეგორია.

3.1 თანამედროვს საშიში გეოლოგიური პროცესები

საშიშ გეოლოგიური პროცესებიდან საპროექტო უბნის ტერიტორიაზე აღინიშნება ღვარცოფები, ნაპირების წარეცხვა. დაცვის მიზნით საჭიროა არსებული ნაპირდამცვი კედლის დაგრძელება.

4.დასკვნები და რეკომენდაციები

1. საკვლევი ტეროტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მდ გლდანულას ხეობაში, მშენებარე სარკინიგზო ხიდის ზემოთ;
2. საშიში გეოლოგიური პროცესებიდან აღინიშნება ღვარცოფები, ნაპირების წარეცხვა ;
3. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას;
4. გრუნტების გავრცელების მიხედვით გამოიყოფა 2 საინჟინრო - გეოლოგიური ელემენტი (სგე); სგე-1 კენჭნარი საშუალო და წვრილ მარცვლოვანი, კაჭარის 5% - მდე ჩანართებით ქვიშნარის შემავსებელით, სგე - 2 ტექნოგენური გრუნტი - ფერდობზე გადმოყრილი ფუჭი ქანი;
5. გრუნტების სიმკვრივე და საანგარიშო წინაღობა შესაბამისად შეადგენს: სგე -1 სიმკვრივე $P = 1,90 \text{ კგ/სმ}^3$, საანგარიშო წინაღობა $R_o = 6 \text{ კგძ/სმ}^2$; სგე-2 სიკვრივე $P = 1.80 \text{ გრ/სმ}^3$, საანგარიშო წინაღობა $R_o = 0.5 \text{ კგძ/სმ}^2$.
- 6, დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება :სგე-1 6 ვ რიგის, ერთიცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით დამუშავების III კატეგორია; სგე - 2 24 ა რიგს ერთიცხვიანი ექსკავატორით, ბულდოზერით და ხელით დამუშავების II კატეგორია;
- 7 ობიექტზე გრუნტის წყლების ზედაპირული გამოსავლები არ დაფიქსირებულა, ჭალაში განლაგებულია 0,5 მ სიღრმეზე ;
- 8 დამცავი ნაგებობების პროექტირების დროს აუცილებელი პირობაა წარეცხვის სიღრმის გათვალისწინება ;
- 9 საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება 1 -1/2284 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი, სამშენებლო ნორმებისა და წესების „სესმოედეგი მშენებლობა „ (პნ 01.01- 09) დამტკიცების შესახებ, თანახმად ქ. თბილისი და შესაბამისად საპროექტო უბანი მიეკუთვნება 8 ბალიანი ინტენსიონის ზონას, სეისმურობის უგანზომილობო კოეფიციენტი 0,17.

თავი II. საპროექტო დონისძიებები

ავარიული უბანი მდებარეობს გლდანის მუნიციპალიტეტში, შუშის ქუჩის მიმდებარედ, მდ. გლდანულას ორივე ნაპირზე. მდინარის ეს მონაკვეთი გაედინება ორ ქუჩის შორის. 2012 წელს მომხდარმა ძლიერმა წყალმოვარდნამ დაანგრია ამ ქუჩების დამაკავშირებელი ხიდი და დააზიანა მარცხენა ნაპირზე არსებული ნაპირდამცავი ბეტონის კედელი.

მიღებულია გადაწყვეტილება მარცხენა ნაპირზე (პირველი საპროექტო უბანი) დაზიანებული ნაპირდამცავი კედლის ნაცვლადდაპროექტდეს ახალი ნაპირდამცავი კედელი 40 მ სიგრძით(სურ 1, 2, 3, 4, 5, 6), ხოლო მარჯვენა ნაპირზე (მეორე საპროექტო უბანი) გათვალისწინებულია ახალი კედლის მოწყობა სიგრძით 90 მ. (სურ 7, 8, 9, 10, 11).

კედლები დაპროექტებულია სექციებად სიგრძით 10 მ.კედლის საძირკვლად მიღებულია ხიმინჯოგანი როსტგერკი (ხიმინჯი $d=0.9\delta$). ხიმინჯების წინა რიგის სიგრძე მიღებულია 9 მ, ხოლო უკანა რიგის სიგრძე - 6 მ.

კედლების სექციებში გათვალისწინებულია განივიდრენაჟის მოწყობა (პლასტმასის მილი $d=15$ სმ).

კედლები მიწასთან შეხების ადგილებში უნდა იქნას დამუშავებული წასაცხები პიდროიზოლაციის 2 ფენით.

კედლის სექციების შორის გათვალისწინებულია 4 სმ-იანი, ხის ფარებით და ბიტუმში გაუდენთილი ჯვალოთი სადეფორმაციო ნაკერების მოწყობა. ფასადის მხრიდან უნდა მოხდეს სადეფორმაციო ნაკერის შეღესვა ცემენტის ხსნარით.

კედლის უკან უკუჩაყრა უნდა მოხდეს ადრე დამუშავებული და მოზიდული გრუნტით, დატკეპნით.

სამშენებლო მოედნიდან წყლის აცილების მიზნით გათვალისწინებულია ქვანაყარის ბერმის მოწყობა, ქვაბულის ფერდზე კი თიხის ტომრების მოწყობა.კედლის წინ უკუჩაყრა გათვალისწინებულია ქვაყრილით, ადრე გამოყენებული დამცავი ბერმისთვის.

სამშენებლო სამუშაოები უნდა შესრულდეს წყალმცირობის პერიოდში დროებითი ბერმის მოწყობით.

რადგან საპროექტო უბნები განლაგებულია ქალაქის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იქნას საპროექტო პედლებში ქალაქის სადრენაჟო სისტემების მოწყობის შესაძლებლობა.

პირველ საპროექტო უბანზე მშენებლობის პერიოდში დაზიანდება არხებული ასფალტბეტონის და ბეტონის საფარი. პროექტით გათვალისწინებულია გზის საფარის აღდგენა.



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სერ. 10



სერ. 11

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი, შუშის ქართველი მიმღებარენ, მდ. გლეხულას
მარცხენა სანაკიონის გამაბრენითი სამუშაოები

რენაგებონის კედლის მოწყობისამუშაოთა მოცულობების უფასო

| N | სამუშაოების დასახელება | განზ. | მოცულობები | შენიშვნა |
|------------------------------------|--|---------------------------|--|--|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| I. მოსამზადებელი სამუშაოები | | | | |
| 1 | მდინარის კალაპოტში ჩასასვლელად დროებითი გზის (სიგანე 4.5 მ) მოწყობა - გრუნტის მოჭრა ბულდოზერით გადაადგილება 20 მ-ზე ადგილზე მოსწორებით - გზის სავალი ნაწილის მოწყობა $h=20$ სმ ხელში გრუნტით დატკიცით | გრძ.მ | 40 გ ² /გ ³ გ ² /გ ³ | 180/90 180/36 გრუნტი 24° |
| 2 | ხელის მოჭრა $d_{\text{საშ}}=20$ სმ, დატვირთვა და გატანა ნაყარში | გ | 3 | |
| 3 | დაზიანებული რკინაბეტონის კედლის დაშლა ესკავატორის ბაზაზე დამაგრებული სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში | გ ³ | 320 | ნაყარი 5 კბ |
| 4 | დაზიანებული რკინაბეტონის კედლის დაშლა ხელით სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში | გ ³ | 40 | ნაყარი 5 კბ |
| 5 | გზის ასფალტბეტონის საფარის დაშლა ხელით სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში | გ ³ | 10.5 | |
| 6 | გზის ბეტონის საფარის დაშლა ხელით სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა და ტრანსპორტირება ნაყარში | გ ³ | 25 | |
| 7 | არსებული რკინაბეტონის კიუვეტის სექციების დემონტაჟი ამწით და შემდგომში მონტაჟი - რკინაბეტონის სექციები - წასაცხები პიდროიზოლაციის მოწყობა ცხელი ბიტუმით | გ/გ გ ² | 3/2.4 7.2 | 2 ფენა |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|---|---|---|---|---|
|---|---|---|---|---|

| II. ოპინაბეჭონის პედლის მოწყობა | | | | |
|---------------------------------|---|--|---------------------------------------|---|
| 1 | საპროექტო კედლის სამშენებლო სიგრძე | გრძ.მ | 40 | |
| 2 | <p>საყრდენი კედლის მოსაწყობად მდინარის კალაპოტში ქვანაყარის ბერმის მოწყობა:</p> <ul style="list-style-type: none"> - ქვანაყარი ბერმის მოწყობა ქვის ჩაქრით ჩასოლვით - თიხის ჩაქრა ტომრებში ხელით - თიხის თომრების მოწყობა ბერმის ფერდზე ფილტრაციის თავიდან ასაცილებლად ამწით - თიხის თომრების დატვირთვა ამწით, გადაადგილება ავტოთვითმცლელებით 200 მ-დე და მოწყობა ბერმის ფერდები - მშენებლობის დამთავრების შემდეგ თიხიანი ტომრების მიტვირთვის დაშლა ექსკავატორით ავტოთვითმცლელებზე დატვირთვით - თიხიანი ტომრების ტრანსპორტირება ნაყარში ავტოთვითმცლელებით, მოსწორებით ბულდოზერით | \varnothing^3 \varnothing^3 \varnothing^3 \varnothing^3 \varnothing^3 \varnothing | 300 140 140 70 140 252 | 30% მეორადი გამოყენებით ნაყარი 5 კმ |
| 3 | გრუნტის დამუშავება მოედნის მოწყობად ბურდვის დონემდე ექსკავატორით, დატვირთვა და ტრანსპორტირება დროებით რეზერვში | \varnothing^3 | 720 | 24° დროებითი რეზერვი 2 კმ |
| 4 | გრუნტის დამუშავება ხელით, ქვაბულის კედლების გამაგრებით, დატვირთვა და ტრანსპორტირება დროებით რეზერვში | $\varnothing^2/\varnothing^3$ | 125 / 100 | 24° დროებითი რეზერვი 2 კმ |
| 5 | ტექნოლოგიური მოედნის მოშანდაკება ბულდოზერით და დატკეპნა მექანიზირებული წესით პნევმოსატკეპნებით | $\varnothing^2/\varnothing^3$ | 200 / 40 | 24° |
| 6 | Ø0.9 მ ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების ჭაბურღილების მოწყობა სამაგრი მილების გამოყენებით: | ვ | 36 | ამოღებული გრუნტის დატვირთვა და |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|----|--|---|---|---|
| | გრუნტი 6° | მმ.მ/მ ³ | 314 / 200 | ტრანსპორტირება დროებით რეზერვში |
| 7 | არმატურის სივრცული კარგასის დამზადება და ჩადგმა 16 ტ ამწით ჭაბურღლილებში - არმატურა A-III - ფურცლოვანი ფოლადი | ტ კბ კბ | 36 31932 1195.2 | |
| 8 | ჭაბურღლილების დაბეტონება ვერტიკალურად გადაადგილებადი მილით B30 F200 W6 | მ ³ | 195.8 | |
| 9 | ხიმინჯის თავებზე გადამეტებულად დასილული ბეტონის მონგრევა სანგრევი ჩაქუჩებით, დატვირთვა ექსკავატორით და გატანა ნაყარში | მ ³ | 23 | |
| 10 | რკინაბეტონის როსტვერკების მოწყობა: - გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, დატვირთვა და ტრანსპორტირება დროებით რეზერვში - გრუნტის დამუშავება ხელით ქვაბულის კედლების გამაგრებით, დატვირთვა და ტრანსპორტირება დროებით რეზერვში - წყლის ამოტუმბვა ორი 60 მ ³ /სთ წარმადობის ტუმბოთი - ქიშა-ხრეშოვანი საგების მოწყობა - ბეტონის შემასწორებელი ფენა B20 F200 W6 - არმატურა A-III - ბეტონი B30 F200 W6 - წასაცხები ჰიდროიზოლაციის მოწყობა ცხელი ბიტუმით - გრუნტის უკუჩაყრა როსტვერკის უბან დროებითი რეზერვიდან მოზიდული ადრე დამუშავებული გრუნტით ექსკავატორით და დატკეპნა ფენებად | მ ³ მანქ. ცვლა მ ³ მ ³ მ ³ მ ³ მ ³ მ ³ მ ³ მ ³ მ ³ მ ³ | 340 75 / 60 60 28.7 11.7 16265.6 120 132 70 | გრუნტი 6° დროებითი რეზერვი 2 კბ დროებითი რეზერვი 2 კბ ერთი მორიგე ტუმბო h=20 სმ h=10 სმ 2 ფენა დროებითი რეზერვი 2 კბ |
| 11 | რკინაბეტონის კედლის ტანის მოწყობა: - არმატურა A-III | კბ | 15159.9 | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
|----|---|---------------------------------------|--|--|
| | - ბეტონი B30 F200 W6 | მ ³ | 240 | |
